SUMMER 365

ზაფხულის რეზიდენცია

თავი 1

რეზიდენციის შესახებ ჩვენთან სულ ზაფხულია

არქიტექტურული კონცეფცია

SUMMER 365 – მომხმარებელზე გათვლილი კომპლექსია ბათუმის ყველაზე განვითარებად უბანში. მას გამოარჩევს მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც, შექმნილია იმისათვის რომ, რეზიტენტებს ჰქონდეს შესაძლებლობა: იცხოვროს, იმუშაოს და ეწეოდეს შემოქმედებით საქმიანობას ერთ, უნიკალურ სივრცეში.
 არქიტექტურული მეტაფორა - წიგნებისგან შემდგარ დასტას წარმოადგენს.

ექსტერიერი ინტელექტუალურობაზე მიუთითებს და მაქსიმალურად გათვლილ სივრცეზე მეტყველებს. თავშეკავებული და ელეგანტური დეტალები ხაზს უსვამს პროექტის და მაცხოვრებლების სტატუსს, გამწვანებული ფასადი კი მიმზიდველი იქნება როგორც მზიან ასევე, წვიმიან ამინდშიც.





ანდრეი გორელოვი
პროექტის ავტორი

ბუნებრივ ძალებთან: ტყესთან, ზღვასთან, მთებთან სიახლოვემ მოიტანა კომპლექსის მთავარი არქიტექტურული კონცეფცია - მზის სხივების თამაში ფასადზე.
შუქის და ჩრდილის კომბინაცია, ფასადს ცოცხალ არსებად აქცევს!
მისი ხასიათი იცვლება ამინდის და დღეღამის დროის ცვლილებებთან ერთად.

ცხოვრება ზღვისა და მთების გარემოცვაში

ადლია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი უბანია ბათუმში, ის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ჭოროხთან და ბათუმის აეროპორტთან ახლოს.

უბანი საინტერესო და მიმზიდველია ზღვასთან სიახლოვით, განვითარებული ინფრასტრუქტურით. ცხადია რომ მას დამატებით ღირებულებას სძენრს მიმზიდველ, ტურისტულ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, ფეხით მისვლის შესაძლებლობა.

ქალაქის ფარგლებში ეს უბანი მშვიდი და წყნარი გარემოთი გამოირჩევა. პროექტი გათვლილია ოჯახის სრულყოფილი ცხოვრებისთვის, თანამედროვე გამოწვევების მიუხედავად. „Smart Development“-ი აშენებს ისეთ კომპლექსს, რომელიც, გათვლილია ახალი თაობის ადამიანის მოთხოვნილებებზე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქალაქისთვის დამახასიათებელი კომფორტი, ამავდროულად ბუნებასთან სიახლოვე და მყუდრო გარემო.

ავტომობილით

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ------ 2,5 კმ -- 6 წთ

სავაჭრო ცენტრი მეტრო სითი ---- 1 კმ ---- 4 წთ

ბათუმის ცენტრალური სტადიონი ---- 3,5 კმ ---10 წთ

ფეხით --- ახალი ბულვარი --- 0,5 კმ --- 5 წთ

ზღვა და პლაჟი 0,5 კმ --- 5 წთ

თავი 2

ბენეფიტები

განსაკუთრებული ურთიერთობა

უპრეცედენტო გადაწყეტილება „SUMMER 365“-სგან - სპეციალური ფასები და შეთავაზებები ყველა სახის დასვენებასა და განტვირთვაზე, რომელიც, კომპლექსის ტერიტორიაზე იქნება წარმოდგენილი, ასეწვე დამატებითი ბენეფიტებია კომერციულ ზონებშიც.

რატომ არის კომპლექსის დასახელებაში ციფრი 365?
ეს არამხოლოდ ცხოვრების კონცეფციის ანარეკლია, არამედ ეს არის 365 იდეა თქვენი ყოველი დღისთვის, ჩვენს საცხოვრებელ კომპლექსში.

მშენებელი კომპანია მაცხოვრებლებს უამრავ გასართობს სთავაზობს, როგორც, კომპლექსის ეზოში ასევე, კომერციულ ზონებში. აქ ყოველ მაცხოვრებელს აქვს შესაძლებლობა დატკბეს ახალგამომცხვარი საკონდიტრო ნაწარმით, შეიძინოს უნიკალური სამოსი, გაატაროს დრო ბავშვებთან და ოჯახთან ერთად, ივარჯიშოს და მოუაროს თავს.

სილამაზის სალონიდან სავარჯიშო დარბაზამდე
საცხობიდან საცვურაო აუზამდე
პროდუქტების მაღაზიიდან კოსმოცევტიკამდე



შეხვედრების ადგილი

ლობი - ყოველი სადარბაზოს განუყოფელი ნაწილია. ეს არამხოლოდ ბუფერული ზონაა, არამედ სრულყოფილი და ფუნქციონირებადი სივრცეა. ჭერის სიმაღლე 5,5 მეტრია, რაც მას ცენტრალურ თავშეყრის ადგილად აქცევს. აქ მაცხოვრებლებს შეუძლიათ გამართონ შეხვედრები, დაელოდონ ოჯახის წევრებს, იმუშაონ და მიირთვან ყავა კიდეც.
გაჯეტების დამუხტვის ადგილები დამატებით კომფორტს შეუქმნის სტუმარსა თუ მაცხოვრებელს. აქვე იქნება მოწყობილი ინფო დახლი, სადაც კონსიერჟს ექნება შესაძლებლობა დელიკატურად მოემსახუროს შემომავალ სტუმრებს, ასევე მოემსახუროს მიტანის სერვისის თანამშრომლებს. კომფორტაბელური და დახვეწილი ლობი, მოპირკეთებული იქნება ბუნებრივი ქვით - მარმარილოთი, რომელიც, არა ფუჭებადია და გააჩნია ფენომენალური გამძლეობა. ლობიში სტუმრებს დახვდება კონსიერჟი, რომლის სამსახურს დაორგანიზებს მფლობელობაში არსებული მართვის კომპანია.
მისი მოვალეობა - მაცხოვრებლების დახმარება და მათთვის საუკეთესო და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნაა.

სიჩქარე მნიშვნელოვანია

კომპლექსში იმოქმედებს სატვირთო და სამგზავრო ლიფტები, რომლებიც, პარკინგიდან ბოლო სართულის ჩათვლით იმოძრავებს.

„OTIS“ სენსორული ღილაკით - გამძლე, უსაფრთხო და დახვეწილია.

ლიფტის ავარიული სისტემები ავტომატურად ირთვება გაუმართაობის შემთხვევაში.
ის მოიცავს ორმხრივ მიკროფონს, ხმოვან სიგნალს და დამატებით კვების წყაროს. ფორს მაჟორულ სიტუაციაში ლიფტი თავისით გადავა ავტონომიურ კვებაზე და მგზავრებს სწრაფად გაუჩერებს შესაბამის სართულზე.

მოლოდინის მაქსიმალური დრო არ აღემატება 60 წამს.
„OTIS“-ის სიჩქარე 1,6 მეტრი წამშია და მას 1 წუთზე ნაკლები დრო დასჭირდება იმისათვის რომ, მგზავრი პირველიდან ბოლო სართულამდე მიიყვანოს. მაქსიმალური დატვირთვა 1600 კგ-ია.

წუთზე ნაკლები ბოლო სართულამდე.



ახალი დონე

სადარბაზოს ყოველი სართული არა უბრალოდ საცხორვებლამდე მისასვლელი დერეფანია, არამედ დახვეწილი და ფუნქციონალური გადაწყვეტილებებით სავსე სივრცეა.

იმისათვის რომ მაცხოვრებლებს ჰქონდეთ დამატებითი შესაძლებლობა, მიაქციონ ყურადღება თუ როგორ გამოიყურებიან ან გადაიღონ ფოტო, სადარბაზოში დამონტაჟებული იქნება ფართო სარკე.



პიკანტური აქცენტები იქნება განთავსებული ყველგან კომპლექსის ტერიტორიაზე. მაგალითად: ყოველ სართულს გაალამაზებს არტ ობიექტები, სურათები, ქანდაკებები, ინსტალიაციები რაც დაეხმარება ამ სივრცეებს უნიკალური ხასიათის შეძენაში.

ასევე, აღსანიშნავია რომ დერეფნებს ბუნებრივი განათება ექნება, რისთვისაც მშენებელი კომპანია დაამონტაჟებს პანორამულ მინაპაკეტს, იმის სანაცვლოდ რომ ეს ფართები დაეთმოს საცხოვრებელ ან ფუქციონალურ ფართებს.

ყველაფერი გათვლილია

ასევე მოწყობილი იქნება, სპეციალური სადგომები ეტლებისთვის, ველოსიპედებისთვის და სკუტერებისთვის იმისათვის რომ თქვენი გასეირნება იყოს უფრო კომფორტული და ასევე, იმისათვის რომ ამ ნივთებით არ დაკარგოთ თქვენი საცხოვრებელი ფართი.
ამ ადგილების ქირაობა შესაძლებელი იქნება გრძელვადიანი პერიოდით.

ლობიში განთავსებული იქნება საჭირო ოთახები ბავშვებისთვის და დედისთვის, რათა კომფორტულად და სუფთად გაუმკლავდნენ ჰიგიენურ პროცედურებს.

დიდი და ფართო მიწისქვეშა ავტოსადგომი, ელექტრო ავტომობილების საჭიროებებზე იქნება გათვილი

ყველაფერი თავის ადგილას
მიწისქვეშა ავტოსადგომი მაცხოვრებლებისთვის, გათვლილია როგორც ავტომობილებზე, ასევე ველოსიპედით მოსარგებლეებისთვის, სკუტერების და სხვა ელექტო ტრანსპორტზე, რომლის დამუხტვის სპეციალური ადგილები მოეწყობა.

საპარკინგე ზონაში დამონტაჟდება სავენტილაციო სისტემა, რომელიც,
სწრაფად და რაც მთავარია ხარისხიანად მოახდენს გამონაბოლქვისგან ჰაერის გაწმენდას,
რაც ჰაერის სისუფთავეს უზრუნველყოფს მთელს სივრცეში.

უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ჭკვიანი კამერების სისტემა რომელიც, ავტომატურად მოახდენს სანომრე ნიშნის ამოცნობას. ლიფტების სისტემა კი ისე არის შექმნილი რომ, საყიდლების ატანა პარკინგიდან თქვენს ბინამდე დაუბრკოლებრივ შეძლოთ.
ასევე, ავტოსადგომში მოეწყობა სპეციალური სასაწყობე სივრცეები.

L13
L14
L15
M14
N16
M15
M16

უსაფრთხო გარემო

მაცხოვრებლების აბსოლოტური კომფორტისთვის მშენებელმა კომპანიამ, გაითვალისწინა ტექნიკური ასპექტები უსაფრთხოების სისტემებისთვის. მაცხოვრებლებისთვის დამონტაჟებული იქნება გენერატორი, რათა შუქის გათიშვის შემთხვევაში შეუწყვეტლივ იმუშაოს ლიფტებმა, საერთო სივრცეების განათებამ და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემამ, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო დანადგარებმა. ელექტრო ენერგიით მომარაგება ექნებათ ასევე კომერციულ დაწესებულებებს. ელექტროენერგიის მოპოვება და შენახვა მოხდება სახურავზე დამონტაჟებული მზის ენერგიაზე მომუშავე პლატფორმით.

გადაუდებელი სიტუაციის დროს მაცხოვრებლების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს შემდეგი სისტემები:

სპრინკლერი - ავტომატური ცეცხლმაქრი სისტემა;
ცენტრალური სავენტილაციო სისტემა, VRF Mitsubishi Electric-სგან, რომელიც მაქსიმალურად ავტონომიური, ენერგოეფექტური და უხმოა;
ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემები;
შიდა ხანძარსაწინააღმდეგო მილსადენი;
ევაკუაციის და განათების ავარიული სისტემები;
სახანძრო ავტომობილებისთვის განკუთვნილი მისასვლელი გზები ჩადებულია პროექტირების ეტაპზე და შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

მეთვალყურეობის ქვეშ

მაცხოვრებლების კომფორტი და უსაფრთოება მთავარი პრიორიტეტია „SUMMER 365“-ში.
ამისათვის მუშაობს უმაღლესი დონის უსაფრთოების სისტემები. ყოველ სართულზე დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები, რომელიც გამორიცხავს უხილავ წერტილებს როგორც კომპლექსში ასევე ტერიტორიაზე და პარკინგში.

უსაფრთხოების სისტემები შექმნის მაქსიმალურ მშვიდ გარემოს მშობლებისთვის,
რადგან, დაცულ და ავტომობილებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე ბავშვებს შეეძლებათ სრულ იდილიაში დროს გატარება.

ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაცხოვრებლებისთვის და მათი სტუმრებისთვის.
გარეშე პირთა შესვლა შეუძლებელი იქნება, რასაც უზრუნველყოფს სპეციალური „BLE“ მარკირება.

უსაფრთხოება - მშენებელი კომპანიის პრიორიტეტია.

კომპლექსის ეკოლოგიურობაზე მასალების შერჩევა და ენერგორესურსების გამოყენების კონტროლი მეტყველებს.

ტექნიკური საკითხი

ინდივიდუალური სითბური პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი კომპლექსის სითბოთი მომარაგებას, ავტომატური მართვის და ათვლის სისტემებით.

კონდიცირებას მოახდენს ე.წ „სპლიტ სისტემები“, რომლებიც აივანზე, სპეციალურად მოწყობილ ადგილზე განთავსდება და დაიმალება დეკორატიული ხუფით.

ინდივიდუალური ვენტილაციის და განიავების სარქველი მოახდენს სუფთა ჰაერის შემოდინებას ისე რომ არ დაგჭირდებათ ფანჯრის გაღება.

ავტომატური მორწყვის სისტემები უზრუნველყობს ეკონომიურ წყლის მოხმარებას. სხვადასხვა გამწვანების მოვლას, საერთო სარგებლობის სივრცეებში, სახურავებსა და ეზოში.

წვიმის დროს ამოქმედდება სპეცილიზირებული სანიაღვრე სისტემები სადაც იქნება დგუშები და მოახდენს წყლის უხვი ნაკადის გადინებასაც.

ზედაპირების მოსაპირკეთებლად გამოყენებული იქნება თანამედროვე, არაცვეთადი და რთულად აალებადი მასალები. მაცხოვრებლებისთვის შეიქმნება გარანტირებული უსაფრთხო და დაცული გარემო, კომფორტისა და სიმყუდროვის შეგრძნების ასამაღლებლად.

სუფთა წლის მარაგი

კამკამა წყალი საკუთარი ჭაბურღილიდან

საკუთარი ჭაბურღილიდან, ღრმა გრუნტის წყალი, მუშავდება გამწმენდი სისტემებით, რაც მის მინერალურობას განაპირობებს.

მოცემული ტექნიკური გადაწყვეტილება განაპირობა, უხვი ნალექის გამო წყლის მოწოდების შეწყვეტამ ან წყლის დაბინძურებამ. მაცხოვრებელი თავისფლდება ზედმეტი წყლის ფილტრებისგან და დანადგარებისგან.

თავი 3

უნიკალურობა 365

In Vino Veritas

ყურძნის მოყვანის და ღვინის კეთების ტრადიცია ქართული ერის გამორჩეული ნაწილია.
კომპლექსის მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა ღვინის დაწურვის პროცესში, ჩაასხან ღვინო ბოთლებში და შეინახონ სპეციალურ მოწყობილ სივრცეში - მარანში. ეს ღვინო მაცხოვრებლებს შეუძლიათ მიირთვან როცა უნდათ.

ღვინის მარნის გარდა, კომპლექსში განთავსებული იქნება ღვინის ბუტიკი სადაც,
შესაძლებელია არამხოლოდ ღვინის შეძენა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან არამედ დაგემოვნებაც. აქვე შესაძლებელია მიირთვათ გამორჩეული ღვინობი და კერძები.

უნიკალური წიგნების კაფე-ბუტიკი

ნაბეჭდი წიგნის სიყვარული არის სიბრძნის სიმბოლო,რომელიც, თაობიდან თაობას გადაეცემა. ზუსტად ამის გამო კომპლექსის ერთ-ერთ განმასხვავებელ ელემენტად იქცევა, ელეგანტური წიგნის კაფე-ბუტიკი სადაც, ვიზიტორს ექნება შესაძლებლობა შეიძინოს სასურველი წიგნი და კიდევ საინტერესო დეტალი, კაფე-ბუტიკში მოეწყობა წიგნის მოყვარულთა კლუბი, რომელიც, წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას, სადაც წევრებს ექნებათ შესაძლებლობა გაცვალონ წიგნები და გაუზიარონ შთაბეჭდილებები.



სასიამოვნო და სასარგებლო დროსტარება მთელი ოჯახისთვის

გალოკამერა - ეს მართლად უნიკალური და განმაჯანსაღებელი სივრცეა, სადაც კედლები დაფარულია მარილის ფენით. მარილის ნაწილაკები სუნთქვის შედეგად ჩადის ღრმად ფილტვებში რაც სუნთქვითი ორგანოების გაჯანსაღებაზე პოზიტიურად მოქმედებს. ასევე აღსანიშნავია რომ ეს პროცედურები კანის გაახალგაზრდავებას და რეგენერაციას უწყობს ხელს, აძლიერებს იმუნიტეტს და აუმჯობესებს ძილის ხარისხს. გალოკამერით სარგებლობა შეიძლება როგორც ბავშვებისთვის ასევე, უფროსებისთვის.

თავი 4

სპორტი 365

ძალა არის სპორტში

საცურაო აუზი, ფიტნეს ცენტრი, სპეციალურად მოწყობილი ადგილები ყველა სახის ვარჯიშისთვის ერთ სივრცეში

სპორტი - უკვე იქცა წეს ჩვეულებად თანამედროვე ადამიანებისთვის, სწორედ ამიტომ, ტერიტორიაზე მოეწყობა მრავალფუნქციური WELLNESS ცენტრი - რეზიდენციის სავიზიტო ბარათი.
მრავალდონიანი სპორტული კომპლექსი, აქტიური სპორტის ზონებით, იოგის და პილატესის ზონებით, საცეკვაო მოედნით და სხვა სპორტული გადაწყვეტილებებით და აუზებით.

ოთხი საცურაო აუზი: ოლიმპიური სტანდარტის 25მ სიგრძის, წყალში დასვენებისთვის lifestyle ასევე, ორი აუზი შეიქმნება ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. აუზები ხელმისაწვდომი იქნება კომპლექსის ყველა მაცხოვრებლებისთვის წელიწადის ყველა დროს, რასაც მოძრავი სახურავი განაპირობებს (ერთ-ერთი მათგანი ბოლო სართულზე, სახურავზე მდებაობს საიდანაც იშლება ქალაქის და დახურული ტერიტორიის ხედები). აუზით სარგებლობა შესაძლებელია მაცხოვრებლებისთვის მისაღებ დროს, აუზის განრიგის მიხედვით.

MATRIX

სპორტ ცენტრის გარდა კომპლექსში მოწყობილი იქნება იოგის და ცეკვის წრეები, ასევე მოეწყობა ტანვარჯიშისა და ქორეოგრაფიისთვის მოწყობილი ადგილები. აღსანიშნავია რომ, სპორტისთვის განკუთვნილ სივრცეში, მოწყობილი იქნება მაგიდის ტენისი და კრივისთვის განკუთვნილი ადგილი.

მაცხოვრებლების ყველა სურვილი გათვალისწინებული და დამუშავებული იქნება, რაც შედეგში განხორციელებულ იდეად გადაიქცევა.

კრივი - ტრენდული და ეფექტური გზაა იმისათვის რომ გაუმკლავდეთ სტრესს და დაღლილობას. ამისათვის სპორტ-კომპლექსის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება კრივის კუთხე, სადაც შესაძლებელი იქნება განიტვირთოთ, გადმოაფრქვიოთ დაგროვილი ენერგია და ივარჯიშოთ. კრივი ხელმისაწვდომი იქნება, ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის.

ამასთანავე, ვარჯიში შესაძლებელია როგორც კრივის ტომარასთან ასევე პირად მწვრთნელთან ერთად, რომელიც, დაგეხმარებათ დახვეწოთ ბრძოლის ხელოვნება.

თავი 5

ბიზნესი 365

სამუშაო მომენტები

სულ უფრო მეტად ხდება აქტუალური, დისტანციური მუშაობა და განათლება. ამისათვის საუკეთესო სივრცე არის ქოვორქინგი. კომპლექსის ყველა მაცხოვრებელს ექნება შესაძლებლობა, აკეთოს ის რაც სურს და არ დახარჯოს თანხა ოფისის ქირით და ისარგებლოს „SUMMER 365“-ის ქოვორქინგით.

იმის გათვალისწინებით რომ, ყოველი ადამიანი ეძებს განვითარების და თვითრეალიზების საშუალებას ის ასევე ეძებს განათლების საშუალებას. ზოგჯერ განათლებისთვის და განვითარებისთვის ქალაქის სხვადასხვა წერტილში მისვლაა საჭირო, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს სწავლის სურვილზე.
ამისთვის კმპლექსში მოეწყობა თრენინგ-კლუბები, რომლებიც, 50 ადამიანაზეა გათვლილი სადაც, შეიქმნება ჯგუფები ისეთ დისციპლინებში როგორიცაა: მარკეტინგი, პროგრამირება, ფსიქოლოგია და მრავალი სხვა.

„SUMMER 365“-ის მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა იქირაონ საოფისე ფართი რაც, მათი მიზნების განხორციელებას დაეხმარება და შეეძლებათ ისარგებლონ რიგი პრივილეგიებით, როგორიცაა:

მარტივად მისასვლელი ადგილმდებარეობა მომხმარებლებისთვის და პარტნიორებისთვის.
საოფისე ფართების თანამედროვე დიზაინი, რომელიც, შექმნის პროგრესულ და ერგონომიულ სამუშაო გარემოს.
კომპლექსის განვითარებული ინფრასტრუქტურა: პარკინგი, მაღაზიები, კაფეები და რესტორნები, დამატებით კომფორტს შეუქმნის თანამშრომლებს.

თავი 6

ბავშვობა 365

მრავალპროფილური განათლება, ყველაზე პატარებისთვის

ბავშვების სივრცე

საბავშვო ბაღი ტერიტორიაზე არის ყველა მშობელის ოცნება. ბავშვების ბაღში მიყვანა და წამოყვანა სულ რაღაც 5 წუთში, დაუჯერებელია არა?!

ლოგოპედი, ინგლისური ენის ჯგუფი, ჭადრაკი და მრავალი სხვა, საუკეთესოა ბავშვების განვითარებისთვის და მშობლის გულის გასახარებლად.

ღონისძიებები პატარებისთვის

იმის გათვალისწინებით რომ, კომპლექსი არის ოჯახურ ცხოვრებაზე გათვლილი,
ერთ-ერთი უნიკალურ შეთავაზებად შეიძლება ჩაითვალოს დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება წვეულების და საზეიმო ღონისძიებების გამართვა. მაცხოვრებლებს ეს მისცემს შესაძლებლობას გადაიხადონ ბავშვის დაბადების დღე ბინასთან ახლოს და ამავდროულად ყველა საჭირო ატრიბუტიკით. ასევე, არის შესაძლებლობა ღონისძიების გამართვა ანიმატორის მომსახურეობით.

ბავშვის ღონისძიებები სრულ კომფორტში, ბინიდან 5 წუთში.

ბავშვთა გასართობი ზონა უამინდობის დროს.

თამაში ასაკის გარეშე

მომენტები, როდესაც, დედობის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სირთულეებზე საუბარი და სხვა მშობლებთან დროს გატარება გნებავთ, კომპლექსის ტერიტორიაზე იქნება მოწყობილი საბავშვო კლუბი. იმ დღეებში როდესაც ამინდი სეირნობას ხელს არ უწყობს, კლუბის ტერიტორიაზე ტოტალურ სიმყუდროვეში და სითბოში, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სახის გართობა, როგორიცაა: თამაში, ძერწვა, ხატვა და მრავალი სხვა.
ესეთი სახის საბავშვო კლუბები, ყოველ ბლოკში იქნება განთავსებული, დამატებით კომფორტს დედებს კი ის შეუქმნის რომ, ბავშვის დატოვება ძიძასთან იქნება შესაძლებელი.

თავი 7

კერძები 365

გემრიელი გამომცხვარი ნაწარმის სურნელი და საყვარელი სასმელები მყუდრო გარემოში

კური და სანახაობა

კრაფტული (არტიზანული) გამომცხვარი პროდუქცია - არამხოლოდ ტრენდული, არამედ, ჯანსაღი კვების ნაწილია, რომელიც, ცნობიერების ტენდენციებს პასუხობს. რეზიდენციის ტერიტორიაზე იმოქმედებს საცხობი, რომლის პროდუქციით სასიამოვნოა დილით საუზმე, ამდიდრებს სადილს და შესაძლებელია სახლში წასვლის დროს თან წაღება.

ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება უფრო მარტივია და ყოფა უფრო სასიამოვნო გახდება. მყუდრო კაფეტერია, რომელიც, საცხობის ტერიტორიაზე განთავსდება, მისცემს მაცხოვრებლებს შესაძლებლობას დატკბეს დესერტებით არომატულ და მყუდრო გარემოში.

სრულყოფილი რესტორანი 400მ2 მისცემს რეზიდენტებს შესაძლებლობას არამხოლოდ ისადილოს ან მყუდროდ ივახშმოს, არამედ გამართოს სრულმაშტაბიანი წვეულება. ყველაზე სასიამოვნო კი ღონისძიების დასასრული იქნება, როცა რამოდენიმე წუთში უკვე თქვენს ბინაში იქნებით.

რესტორანი 400მ2

ნამდვილი ფერმერების დახლები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით

კერძების ხელოვნება

გასტრონომიული ბუტიკი - კიდევ ერთი ტრენდული და ამავდროულად ჯანსაღი მიმდინარეობაა. ახალი ფერმერული პროდუქცია, უნიკალური გადაწყვეტილებები, დელიკატესები ხელმისაწვდომი იქნება მაცხოვრებლებისთვის, კომპლექსის ტერიტორიაზე.

გასტრომარკეტი ჩაანაცვლებს ჩვეულებრივ ქსელურ მარკეტებს. ნატურალურ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციასთან ერთად ტერიტორიაზე განთავსდება ფუდკორტი და დახლები სტუმრებისთვის.

ქვევა და წესი

რა არის ოჯახური რესტორნების განმასხვავებელი მახასიათებელი?
პირველ რიგში ის რომ, თავიდანვე გათვლილია სტუმრის კომფორტი მიუხედავად ასაკისა. ეს ერგონომიული ავეჯია, სივრცე და ყურადღებიანი ზონალური გათვლაა, ასევე
ოჯახის ყველა წევრზე მორგებული დამატებითი სერვისებია. მთავარი განმასხვავებელი ნაწილი კი ის არის რომ, მშობლებს და ბავშვებს თავისი ადგილი, უშუალო სიახლოვეს ექნებათ.

თავი 8

გართობა 365

ხედვა

მსოფხედველობის გაფართოვების მიზნით დიდებისთვის და პატარებისთვის რეზიდენციის ტერიტორიაზე მოეწყობა მყუდრო კინოთეატრი, სადაც არამხოლოდ კლასიკისა და უახლესი ბლოკბასტერების ყურებაა შესაძლებელი, არამედ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ხილვაც იქნება შესაძლებელი სპეციალური სათვალით.

ორთქლი და განტვირთვა

უნიკალურ დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი ჩილიმის ლაუნჯ ზონაა, სტუმართმოყვარეობის და სტილის შეგრძნების საუკეთესო ტრადიციებით.

მყუდრო ატმოსფერო, შუქის ნაკლებობა, მუსიკა დაბალ ხმაზე, დღის ბოლოს საუკეთესო განტვირთვის საუშუალებაა. მათთვის ვისაც დროს ტარებას უფრო ხმაურით უნდა, იქნება მოწყობილი სპეციალური ოთახები, სათამაშო კონსოლებით სადაც, მეგობრებთან ერთად შეკრება იქნება შესაძლებელი.

თქვენი სვლაა

ჭადრაკი - არამხოლოდ სპორტი, არამედ გონების ვარჯიშის და ლოგიკის გაღრმავების ძალიან მაგარი ინსტრუმენტია. ჭადრაკის თამაშის შესწავლა და სწავლის გაღრმავება, დაგეხმარებათ სტრატეგიული აზროვნების შემუშავებაში, რაშიც ჩვენი ჭადრაკის კლუბი დაგეხმარებათ.

ცოდნის ძალა

დამატებით მათთვის, ვისაც ენების ცოდნის ამაღლება და მაღალ დონეზე სურს, შეიქმნება ინგლისურის შესწავლის კურსები მაცხოვრებელზე მორგებული, მოქნილი გრაფიკით.

ცხოვრება ხელოვნებაა

ბევრისთვის ხელოვნება არამხოლოდ ჰობია, არამედ ღირსეული შემოსავლის წყაროა. სწორედ ესეთი ადამიანებისთვის, ვისაც სურს თავისი ცხოვრება მშენიერებით აავსოს, კომპლექსის ტერიტორიაზე მოეწყობა თანამედროვე ხელოვნების გალერეა, შემგომ კი განვითარდება არტ-კლუბი.

არტ-ჯგუფები, როგორც, არტ-თერაპიის ნაწილი, შეიყვარა ბევრმა ადამიანმა. „SUMMER 365“-ში ნამდვილი სახელოსნო იქნება წარმოდგენილი, სადაც მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა შეისწავლონ, შემდეგ კი შექმნან ხელოვნების ნიმუშები, რომლითაც გაალამაზებენ თავის საცხოვრებელ სივცრცეს.





ყურადღების ცენტრში

ურამრავი გასართობი ადგილების გარდა, ყოველ სადარბაზოში მოეწყობა უნიკალური სივრცე - ე.წ „ნეიბორ ფლეისი“ ანუ, კეთილმეზობლური სივრცე.

ეს არის სრულად მოწყობილი ბინა რამოდენიმე ზონით, სახლის კინოთეატრი, ბარი, სათამაშო კონსოლის ზონით. ეს მაცხოვრებლებს მისცემს საშუალებას გაატარონ დრო, მეგობრებთან, მეზობლებთან ერთად არა პირად ბინაში, მაგრამ, საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე.

სხვადასხვა სახის გართობა ერთ სივრცეში

სპორტი მდგრადობისთვის

გოლფი - საყვარელი გართობაა ბევრი თანამედროვე ადამიანისთვის, მაგრამ, გოლფის მოედნის მოძიება არის რთული და ზოგისთვის სამწუხაროდ შეუძლებელი.

გოლფის მოყვარულთათვის შეიქმნება სრულყოფილი სავარჯიშო სიმულატორი, რომელსაც, პროფესიონალები იყენებენ.



კუროორტი სახლში

კურორტული ზონის მთავარი მახასიათებელი ზღვასთან სიახლოვეა. ამისათვის მშენებელმა კომპანიამ იქირავა პლაჟი, სადაც „SUMMER 365“-ის მაცხოვრებლებს შეეძლებათ გარუჯვა და დასვენება. შეზლონგები, ქოლგები, კომფორტული ფიტო-ბარი, მისცემს კომპლექსის მაცხოვრებლებს საშუალებას თავი იგრძნონ პლაჟზე, როგორც, საკუთარ სახლში.

თავი 9

ინფრასტრუქტურა 365

ყველაფერი სახლისთვის

არაერთხელ შეგვხვედრია სიტუაცია როცა დიასახლისს რაიმე კონკრეტული სახის ჭურჭლის შეძენა სურს, მაგრამ, გარემოებების გამო მისი შეძენა გარკვეული პერიოდში შეუძლებელი ხდება. ამისათვის სპეციალურად შოპინგზე წასვლაა საჭირო, დრო კი სამწუხაროდ ვერ გამოინახება.

სპეციალურად ამისათვის „SUMMER 365“-ში გაიხსნება ჭურჭლის მაღაზია, სადაც დიასახლისებს საშუალება მიეცემათ შეიძინონ, როგორც, ცალკეული ორიგინალური ნივთები ასევე, ბინის მოსაწყობად საჭირო, მთლიანი კომპლექტი.

საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზია - კიდევ ერთი აბსოლუტურად საჭირო მაღაზიაა თანამედროვე ადამიანისთვის. ყველაფერი რაც უეცრად შეიძლება დაგჭირდეთ ოჯახში, თქვენგან სულ რამოდენიმე წუთში მდებარეობს.

განსაკუთრებული არჩევანი

თავის თავზე ზრუნვა - ყველაზე სასიამოვნო რუტინული საქმიანობაა. საუკეთესო ბიუთი-ბრენდები თავმოყრილი იქნება კომპლექსის კომერციულ ზონაში, რომელიც, დააკმაყოფილებს მაცხოვრებლების ყველა სურვილს.

საუკეთესო და სასიამოვნო სხეულისთვის და სულისთვის - დეკორატიული კოსმეტიკიდან -კოსმოცევტიკამდე. ყველაფერი ეს ერთ ულამაზეს სივრცეში გაერთიანდება.

სილამაზე, როგორც, ასეთი

საკითხი, რომელიც, ბიუთი პროცედურებთანაა დაკავშირებული ქალბატონებისთვის ძალიან აქტუალურია. კომპლექსის ტერიტორიაზე იქნება განთავსებული სილამაზის სალონები სადაც, შესაძლებელი იქნება ტერიტორიიდან გაუსვლელად გალამაზდეთ, აიმაღლოთ თვითშეფასება და უბრალოდ გამხიარულდეთ.

ქალბატონებთან ერთად თავის მოვლის პროცედურები მამაკაცებისთვისაც იქნება შესაძლებელი ე.წ „ბარბერშოფებში“. ბრუტალური გარემო სადაც, არამხოლოდ თქვენს იდეალურ შეხედულებამდე მისვლაა შესაძლებელი არამედ, მოაზროვნეებთან შეხვედრა და დროსტარებაც.

ჯანმრთელობის საწინდარი

ყველა საჭირბოროტო საკითხი უეცრად ხდება, მაგრამ, ესეც არის გათვლილი „SUMMER 365“-ში. კომპლექსთან ახლოს ფუნქციონირებს აფთიაქი, სადაც შესაძლებელია როგორც პირველადი საჭიროების მედიკამენტების ასევე, ვიტამინებისა და დანამატების შეძენა.

სისუფთავეზე ზრუნვა

საცხორებელ ფართში სარეცხი და საშრობი ოთახის გამოყოფაა საჭირო. მშენებელმა კომპანიამ ეგეც გათვალა და ჩაუშვებს პროფესიონალურ ქიმწმენდას, სადაც მაცხოვრებლები შეძლებენ ოპერატიული და ხარისხიანი მომსახურება მიიღონ.

SHIC & SHINE

ესთეთების და ავთენტურობის მოყვარულთათვის „SUMMER 365“-ში განთავსდება საავტორო ნაჭრების მაღაზია, რომლებიდანაც თქვენ შეძლებთ შეარჩიოთ სასურველი ნაჭერი და გამოცდილი მკერავი დაგეხმარებათ საუკეთესო ლუქის შექმნაში. აქვე მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა მოირგონ და გადააკეთონ უკვე არსებული ტანსაცმელი, არ დაკარგონ დრო ქალაქში გადაადგილებასა და კარგი მკერავის მოძიებაში.

თავი 10

ეზო 365

როგორც ბავშვობაში

ბავშვობის მოგონებები უმეტეს წილად ცეცხლს უკავშირდება.
ამიტომაც, კიდევ ერთი ძალიან სასიამოვნო დეტალი, კომპლექსში მოეწობა საცეცხლე ადგილი სადაც, გატარებული დრო მეგობრებთან ერთად კიდევ უფრო თბილი და მომხიბვლელი იქნება. კარტოფილის ნაკვერჩხალში შეწვა და ზეფირის მომზადება, თვალწინ დაგიყენებთ ბავშვობის მოგონებებს.

სანახაობის სივრცე

სტატისტიკის მიხდედვით თანამედროვე ადამიანი სუფთა ჰაერზე 5%-ზე ნაკლებ დროს ატარებს, ეს განაპირობა ურბანულმა განვითარებამ და პირადი ავტომობილით სარგებლობამ. კომპლესში ეს პრობლემა გადაიჭრა მაქსიმალური ეზოს დატვირთვით. ერთ-ერთი პრობლემის გადაჭრის გზა ღია ცისქვეშ მოწყობილი კინოთეატრი გახდა, სადაც საყვარელი ფილმის ყურებაა შესაძლებელი მეზობლებთან და მეგობრებთან ერთად. ასევე, საღამოს საათებში ბავშვებთან ერთად შესაძლებელი იქნება ანიმაციური ფილმის ნახვა.

სუფთა ჰაერზე დროს ტარება თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ტენდეციაა. ამისათვის კომპლექსის ტერიტორიაზე მოეწყობა, სრულმასშტაბიანი ამფითეატრი სადაც, სანახაობების მოწყობაა შესაძლებელი. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა იმისა რომ, დაუმეგობრდეთ სამეზობლოს და შექმნათ თანამოაზრეთა კლუბი.

ყველანი ეზოში!

ეზოს ერთ-ერთ მთავარი და შტამბეჭდავი ელემენტი საფეხმავლო ხიდია, რომელიც, მაცხოვრებლებს შეიფარებს ნებისმიერ ამინდში.

ორდონიანი ეზოს დატვირთვა სივრცეების ზონირებაა, მრავალდონიანი გამწვანების ფუნქცია კი ხმის ჩახრშობაა.

პროფესიონალურად მოწყობილი საბავშვო მოედანი შექმნილია ბავშვების ასაკის მიხედვით, რომელსაც, ნაკადული ჰყოფს. „SUMMER 365“-ის ეზოში გასეირნება გაუტოლდება პარკში გასეირნებას.

კომპლექსის ყოველ მაცხოვრებელს ექნება შესაძლებლობა მოაწყოს პიკნიკი ტერიტორიიდან გაუსვლელად, რასაც საპიკნიკე ზონა და იქ მოწყობილი მაგიდა შეუწყოფს ხელს.

სპორტული ინვენტარი სრულყოფილი ვარჯიშის შესაძლებლობას იძლევა. ორდონიანი ლაუნჯ-ზონის პირველ სართულზე კაფე იქნება მოწყობილი, სადაც მომსახურე პერსონალს ყოველი მაცხოვრებელის გაცნობის საშუალება ექნება.

პროექტში გათვლილი ველო ბილიკების მეშვეობით, კომპლექსის ტერიტორიაზე არამხოლოდ ფეხით, არამედ ველოსიპედით და სკუთერით იქნება შესაძლებელი გასეირნება, ისე რომ გვერდით მოსიარულე ქვეითებს არ შეექმნებათ დისკომფორტი.

მშრალი შადრევნების ტენდენცია არამხოლოდ მიკროკლიმატის განვითარებითაა განპირობებული, არამედ ის კარგად ზოგავს სივრცეს. იმის გათვალისწინებით რომ, ტერიტორიაზე უამრავი სხვადასხვა ინტერაქტიული სივრცეა, დამატებითი ფართი და მათ ირგვლივ გრილი გრილი ჰაერი, სასიამოვნო დამატებითი სასეირნოა ზონაა.

კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სპეციალური შადრევნები, სადაც მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა შეავსონ ცივი და სუფთა წყლით მარაგი და ასევე, გაგრილდნენ სეირნობისას.

იმისათვის რომ უამინდობის დროს, გასეირნება არ იქცეს უსიამოვნო სიურპრიზად, ლობისთან ახლოს განთავსებული იქნება სპეციალური ონკანი, რაც საშუალებას იძლევა გაიწმინდოთ ფეხსაცმელი და დაბანოთ თათები თქვენს საშინაო ცხოველებს. ამ გადაწყვეტილებით მაცხოვრებლებს, საერთო სივრცეებში სისუფთავის შენარჩუნება გაუმარტივდებათ.

ულამაზესი მცენარეებით შექმნილი ბაღი - ის ელემენტია, რომელიც, ძალიან აკლია თანამედროვე ქალაქებში განთავსებულ საცხოვრებელ კომპლექსებს. ბაღი, რომელიც, შექმნილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი მცენარეებით აქცევს SUMMER 365-ს ნამდვილ ოაზისად, სასიამოვნო ლანჩაპრტით. ამასთანავე ბაღი ჟანგბადით ამდიდრებს ჰაერს და ქმნის უნიკალურ მიკროკლიმატს. კდიევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება გამწვანების კუთხით არის ბამბუკნარი.

მათთვის ვისაც სურს ფრინველების მოვლა, მთელს ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ჩიტუნებისთვის განკუთვნილი სახლები, სადაც მათი საკვებით მომარაგება იქნება შესაძლებელი.

მცენარეები ჩამოტანილი იქნება მსგავსი კლიმატური თვისებების მქონე ქვეყნებიდან როგორიცაა: იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები და ა.შ. ეს შექმნის ნამდვილი ბოტანიკური ბაღის სტუმრობის შეგრძნებას რადგან, ბათუმისთვის არატიპიურ გამწვანებას წარმოადგენს. მცენარეები ისეა შერჩეული რომ, მთელი წლის განმავლობაში ეზოში სიცოცხლის და სიმწვანის შეგრძნება ქონდეს მაცხოვრებელს.



წვრილმანი საკითხი

პატარა არქიტექტურული ფორმები - საერთო არქიტექტურული ფორმის მნიშვნელოვანი ელემენტებია. ავტობუსის გაჩერება, მოაჯირები, ჯებირები და ექსტერიერის სხვა დეტალები, კომპლექსის ერთიან სტილისტიკაშია შემუშავებული. დიზაინის ელემენტებში შერწყმულია განათება რაც გაამდიდრებს კომპოზიციას და საცხოვრებელი კომპლექსის ფასადს. ეკოლოგიურობის განცდას ტერიტორიაზე მოწყობილი ველობილიკები შექმნის. ასევე, ტერიტორიის დიზაინის მრავალფეროვნებისათვის დამონტაჟდება არტ-ობიექტები, ქანდაკებები, რომლებიც, ეზოს ელემენტებს ნადვილ ფოტოსტუდიად აქცევს. დასვენებისთვის გამოყოფილი ადგილები როგორიცაა: პერგოლები, მოსასვენებელი ადგილები, შეზლონგები, შექმნის სიმყუდროვის და სიმშვიდის შეგრძნებას.

თავი 11

არჩევანი 365

არჩევანი გაკეთებულია

ყველა ბინა ჩაბრდება რემონტამდე მიყვანილ კონდიაში. მომხმარებელს გაუკეთდება შეთავაზება შეარჩიოს 4 ტიპის დიზაინერეული რემონტი, თანხის დამატების შემთხვევაში. ეს მომხმარებელს მისცემს შესაძლებლობას დაზოგოს ენერგია, ფინანსური სახსრები, ჯანმრთელობა და ნერვები. რაც მთავარია ეს იძლევა ბინის სწრაფად ჩაბარების შესაძლებლობას.

სტანდარტული ჩაბარების კონდიცია მოიცავს:

- ბინის შორისი კედლები ამოყვანილი 30 სმ სისქის ბლოკით და შემდგომი ხმის ჩამხშობი მემბრანით.
- ამოშენებულია ოთახშორისი კედლები, მჩატე და მყარი მასალებით.
- დასრულებულია კედლების წინასამღებრო სამუშაოები. კედლები გასწორებულია და მზად არის შესაღებად.
- იატაკი მოჭიმულია მშრალი ტექნოლიგიური პროცესით, საინჟინრო კომუნიკაციები კი უკვე ჩაშენებული იქნება.
- დამონტაჟებულია გათბობის მილები და რადიატორები, საინჟინრო გეგმის მიხედვით.
- დამონტაჟებულია „Rehau“-სა და „Uponor“-ის გერმანული ბრენდების წყლის და გათბობის მილები და ასევე ელექტროობა.
- დამონტაჟებულია ჩამრთველები და როზეტები გერმანული ბრენდი - „Schneider Electric“-სგან.
- დამონტაჟებულია ფარული წყლის ჩარეცხვის სისტემა.
- გაკეთებულია კანალიზაციის და ტრაპების სისტემა.
- დამონტაჟებულია ინტერნეტისა და IP-ტელევიზიის წერტილები.
- დამონტაჟებულია განათებისა და როზეტების წერტილები.
- ჩაშენებულია კონდიციონერისთვის განკუთვნილი ფრეონის მილი, ელექტროობის წყარო და დრენაჟული სისტემა.
- დამონტაჟებულია ჭკვიანი სახლის საბაზისო სისტემა, წყლის გაჟონვის ტედექტორით, შუქის ჯგუფურად მართვის შესაძლებლობით.

ასევე, მყიდველის სურვილისამებრ შესაძლებელია ჭკვიანი სახლის ფუნქციონალის გაფართოება.

ყველას თავისი

მშენებელმა კომპანიამ შეიმუშავა რამოდენიმე სახის გეგმარება

1

30 კვ.მ-დან 40 კვ.მ-დე ბინები - მარტო ცხოვრებისთვისაა განკუთვნილი სადაც, ახალგაზრდა ადამიანს შეუძლია მოიწყოს მყუდრო და პატარა კაბინეტი ან სამუშაო ზონა.

1 + 1

ცალკე საძინებლიანი ბინა 44 კვ.მ-დან 55 კვ.მ-დე, იდეალურია ახალგაზრდა წყვილისთვის, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია ერთმანეთთან გატარებული დრო მყუდრო და კომფორტულ გარემოში. ამ სივრცეში ყველა იდეის განხორციელებაა შესაძლებელი, იქნება ეს: რომანტიკული ვახშამი აივანზე, სტუმრების მიღება სამზარეულოში ან ფილმის ყურება მეგობრებთან ერთად მისაღებ ოთახში.

2 + 1

ორი ცალკე საძინებლიანი ბინა 60 კვ.მ-დან 85 კვ.მდე, იდეალურია მზარდი ოჯახისთვის, სადაც ყველას თავისი ოთახი ექნება. სივრცე სადაც, ყველა შეძლებს განმარტოვდეს, უყუროს ტელევიზორს, იმუშაოს და ხელს ერთმანეთს არავინ შეუშლის.

3 + 1

ბინები 3 ან მეტი საძინებლით 100 კვ.მ-დან 150 კვ.მ-მდე, გათვლილია დიდ ოჯახებზე ან მშობლებთან ერთად ცხოვრებაზე. სანამ ბავშვები მეცადინეობენ, მშობლები უყურებენ საყვარელ ტელეშოუს, ოჯახის ყველაზე უფროს წევრებს შეუძლიათ განმარტოვებულ გარემოში მიირთვან ცხელი სასმელები და დატკბენ ტკბილი საუბრებით.



1+1
50 м²



2+1
85 м²

ცასთან ახლოს

ბოლო სართულზე ბინიებს პანორამული ხედები და ღია სივრცული ტერასა აქვს სადაც, ასვლა შიდა კიბით არის შესაძლებელი ამ პროგრესული არქიტექტურული გადაწყვეტილებით. ეს არამხოლოდ ტერასაა, არამედ სრული დატვირთვის მქონე პენტჰაუსია. იმის გამო რომ კომპლექსი არის დაბალსართულიანი განაშენიანების მქონე, ბოლო სართულებიდან ფანტასტიური ხედები გაიშლება. ამ ფორმატის ბინები ეს ყოველი დეტალისადმი ყურადღებით შექმნილი სივრცეა, სადაც შესაძლებელია ორ დონიანი დუპლექსის ტიპის ბინის მოწყობა, რომელიც, მზითა და შუქით იქნება სავსე.



საზღვრების გაფართოვება

პანორამული შუშები - არამხოლოდ ინტერიერსთვის დამატებით ხიბლისთვისაა გაკეთებული არამედ, ეს ბენეფიტია მზიან და საკურორტო ქალაქში. პანორამული ალუმინის სლაიდერი შუშები „SL160“-ის სტანდარტის იქნება.
კარ-ფანჯარა ისეა გათვლილი რომ, ის არამხოლოდ მზის შუქის შემოსვლას უწყობს ხელს არამედ, ღია მდგომარეობაში აფართოვებს შიდა ფართს.

ორი ან მეტი საძინებლით ბინა, აღჭურვილი იქნება სპეციალური საგორდერობო და სარეცხი ოთახით. ეს ძალიან კომფორტული გადაწყვეტილებაა რადგან, ბინაში შემოსვლისას მაცხოვრებელს შეუძლია გადადოს გასარეცხი ტანსაცმელი და არ შევიდეს ბინის შიგნით. აქვე შესაძლებელია გამოცვლა.

ნამდვილი ბუხარი თქვენს ბინაში რაც დახვეწილ გემოვნებასა და სტატუსზე მეტყველებს. ბოლო სართულის მაცხოვრებლებს ექნებათ შესაბლობა მოაწყონ ბუხარი, გათბენ და დატკბენ ზებუნებრივი სილამაზით.



კიდევ ერთი საინტერესო და სასიამოვნო დანამატი ფანჯარაა სველ წერილში. გეგმარების შესაბამისად, მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა მოაწყონ თავის სველი წერტილი განსაკუთრებულად მზიანი და ექსტრავაგანტული.

ასევე შესაძლებელია გაყოფილი სველი წერტილის მოწყობა. ესეთი გადაწყვეტილება იძლევა შესაძლებლობას სველი წერტილი უფრო პრეზენტაბელური, კომფორტული და ერგენომიული იყოს.

თავი 12

ზრუნვა 365

სანამ აქ ვართ

კომპლექსის აპლიკაციაში გაერთიანდება, როგორც, მაცხოვრებლები ასევე საჭირბოროტო საკითხები. კომპლექსის რეზიდენტებს შეუძლიათ იყიდონ ან გაყიდონ ხელნაკეთი ნივთები ან პოზიციები „არ მომერგო“.

ასევე, კომპლექსს მოემსახურება ელექტროავტომობილები, მაცხოვრებლებს კი ტაქსით სარგებლობას და ავტომობილის ყიდვას გადააფიქრებინებს.

კეთილი საქმე

ტერიტორიაზე მოეწყობა სპეციალური სივრცე სადაც, მაცხოვრებლებს ექნებათ შესაძლებლობა ჩააბარონ არასაჭირო ნივთები. ეს ნივთები კი შემდგომ გაჭირვებულებს გადაეცემა.

დარბაზის დახმარება

ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება ნებისმიერი სახის დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმება, იურიდიული მხარდაჭერის და კონსულტაციის მიღება, დოკუმენტების თარგმნა, ამობეჭდვა. ეს დროის ეკონომიისთვის და დამატებითი კომფორტისთვის იქნება შექმნილი, რადგან მაცხოვრებლებს.

ყველაფერი ჩართულია

მშენებელმა კომპანიამ გაითვალისწინა ყველა დეტალი. ახალი ტენდენციების გათვალისწინებით სულ უფრო და უფრო აქტუალურია კრიპტოვალუტით ბინის ან მომსახურების საფასურის გადახდა. ამისათვის კომპანიის ანგარიშზე მიმაგრებული იქნება კრიპტო საფულე, სადაც თანხის გადარიცხვა დამატებითი საკომისიოს გარეშე იქნება შესაძლებელი.

ЗДЕСЬ ЖИВЁТ ЛЕТО